№1706 2015 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

„კლინიკების განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1588 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,კლინიკების განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1588 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობაში (დანართი №1) საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - ეკონომიკური საბჭოს წარმომადგენლის ნაცვლად, შეყვანილ იქნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - ეკონომიკური საბჭოს აპარატის წარმომადგენელი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**